საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/116

ქ. ბათუმი 25 ოქტომბერი, 2019 წ.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 ივნისის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 ივნისის №36 დადგენილებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება და დამატება, კერძოდ, დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

ა) მე-3 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული სავალდებულო დოკუმენტაცია კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ ელექტრონულად, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ელექტრონულ მისამართზე (მიმღები - ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახური) და მხოლოდ აღნიშნული მოქმედების შემდეგ მატერიალური სახით, ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით.

5. კონკურსანტების მიერ ელექტრონული და მატერიალური სახით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, საკონკურსო განაცხადების მიღების დასრულების შემდგომ, გადაეცემა შესაბამისი მიმართულების საკონკურსო კომისიას, რაზედაც შედგება მიღება-ჩაბარების აქტი.";

ბ) მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) დამხმარე პერსონალი უნდა იყოს ბსუ-ში დასაქმებული სხვა პირები, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 ან მე-4 სასწავლო წლის ან სამაგისტრო/სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, რომლებიც დაეხმარებიან პროექტის ძირითად პერსონალს წამოჭრილი ტექნიკური

პრობლემების გადაჭრაში. ახალგაზრდა მკვლევართათვის კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში, დამხმარე პერსონალის შემადგენლობაში შეიძლება ჩართულ იქნეს არაუმეტეს ორი მაგისტრანტი ან/და დოქტორანტი.";

გ) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) რომელსაც ბოლო 5 წლის განმავლობაში აქვს საერთო პუბლიკაცია კონკურსანტთან ან პირი, რომელიც ბოლო 5 წლის განმავლობაში კონკურსანტთან ერთად მონაწილეობდა სამეცნიერო-კვლევით პროექტში;";

დ) მე-8 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. პროექტის გეგმა-გრაფიკის ცვლილების შემთხვევაში შესასრულებელი აქტივობის ვადა (გარდა საერთაშორისო რეცენზირებად/რეფერირებად ჟურნალში სტატიის დასაბეჭდად მიღების ან გამოქვეყნებისა) არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი კალენდარული წლის 15 დეკემბერს, ხოლო პროექტის ბიუჯეტის ცვლილება არ უნდა იწვევდეს ბიუჯეტის გაზრდას ან/და წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დარღვევას.";

ე) დანართი 2-ის 1.5. პუნქტი - „პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი" შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

ვ) დანართი 3 - „პროექტის ბიუჯეტი" შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

2. წინამდებარე დადგენილება და მისი გათვალისწინებით კოდიფიცირებული №36 დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

3. წინამდებარე დადგენილება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**

1.5. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი

ამოცანის დასახელება	შესაბამისი აქტივობა	შესრულების პერიოდი													შედეგები	შემსრულებლები
		I თვე	**II** თვე	**III** თვე	**IV** თვე	**V** თვე	**VI** თვე	**VII** თვე	**VIII** თვე	**IX** თვე	X თვე	**XI** თვე	**XII** თვე	მომდევნო წლის არაუგვიანეს აგვისტოს თვე, სტატიის დასაბეჭდად მიღება ან გამოქვეყნება		

შენიშვნა: დაგეგმილი ამოცანების და აქტივობების გასწვრივ ,,შესრულების ვადაში" თქვენ მიერ დაგეგმილი შესრულების თვე/თვეების გრაფებში გააფერადეთ ან აღნიშნეთ +

დანართი 3

პროექტის ბიუჯეტი

ხარჯვის კატეგორია	პროექტის განხორციელების პერიოდი													ჯამური ღირებულება
თვეები:	I თვე	II თვე	III თვე	IV თვე	V თვე	VI თვე	VII თვე	**V III** თვე	**I**X თვე	X თვე	**XI** თვე	**XII** თვე	მომდევნო წლის არაუგვიანეს აგვისტოს თვე, სტატიის დასაბეჭდად მიღება ან გამოქვეყნება	
პროექტის მონაწილეთა შრომის ანაზღაურება														
სახელი, გვარი														
მივლინება														
საქონელი და მომსახურება														
ძირითადი აქტივები														
ჯამი														